1969/3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 9 (344)

1969 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (344) სექტემბერი 1969 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

167. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცებისათვის.

168. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ ბოლნისის და ქარელის რაიონებში.

169. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენისა და ჯილდოების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

### განყოფილება მეორე

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. დ. მარკინის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. კოხსოვიჩის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინემატოგრაფიის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. დურგარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. [illegible] ე. კერეჭაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. ქავთა-რაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ა. მასალო-ვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. გ. კაციტა-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ქუჩუ-კაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**167** **ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცებისათვის**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. გიორგობიანის მოხსენება, აღნიშნავს, რომ ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დანაშაულობასთან ბრძოლაში ფართოდ მონაწილეობენ სახალხო რაზმები, ამხანაგური სასამართლოები, ქუჩისა და უბნის კომიტეტები, რომლებშიც გაერთიანებულია 1.500-მდე აქტივისტი. მეტი ყურადღება ექცევა მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებით მუშაობას სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე.

სათანადო ყურადღება ეთმობა დანაშაულობისა და მისი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრას, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა შრომით მოწყობასა და მათთან აღმზრდელობით მუშაობას.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები უფრო სწორად იყენებენ მოქმედ კანონმდებლობას და მოქნილად უხამებენ მას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს.

ამასთან ერთად, ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას დანაშაულებრივი ქმედობის შემცირებისათვის.

ამის შედეგია, რომ 1969 წლის პირველ ნახევარში 1968 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა, არ კლებულობს არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებიც.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა ყოველთვის არაა შეთანხმებული ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების დარგში; გასულ და მიმდინარე წელს საბჭოს სესიებსა თუ აღმასკომის სხდომებზე არ განხილულა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის მდგომარეობის, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოებისა და ქუჩის კომიტეტების სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

ამხანაგური სასამართლოები, ქუჩის კომიტეტები და სახალხო რაზმები ჯერ კიდევ ნაკლებად სწავლობენ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

№ 9/
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმასკომთან შექმნილი კომისიების მუშაობაც. სამეთვალყურეო კომისია, რომლის შემადგენლობა მიმდინარე წლის აპრილში დამტკიცდა, ფაქტიურად დღემდე უმოქმედოდაა. ადმინისტრაციული კომისია იშვიათად ატარებს გამსვლელ სხდომებს და მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დარღვევების შესახებ არ აცნობებს მშრომელთა კოლექტივებს დამრღვევის სამუშაო ან სწავლის ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ბავშვთა და მოზარდთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის აღკვეთას; კომისიას სუსტი კავშირი აქვს სასოფლო საბჭოებთან.

ბავშვთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ტარდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არ ხორციელდება სათანადო კონტროლი სახლმმართველობებში ამ საქმისათვის გათვალისწინებული ორპროცენტიანი ანარიცხების გამოყენებაზე;

აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მისდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში რევიზიების დროულად ჩატარებას, გაფლანგვა-მტაცებლობის ხელშემწყობი პირობების შესწავლასა და აღმოფხვრას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერება და კანონიერების განმტკიცება, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამ მიზნით:

ა) პერიოდულად შეისწავლოს და საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებსა და სოფლის ყრილობებზე განიხილოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მართლწესრიგის დარღვევისა და დანაშაულობის ხელშემწყობი პირობების გამოვლინებასა და აღმოფხვრას;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების დარგში საქმიანობა უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, პერიოდულად მოისმინოს პროკურორის, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ინფორმაციები დანაშაულობასთან ბრძოლის მდგომარეობის საკითხებზე;

გ) საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისა და დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო აქტიურად ჩააბას საბჭოს დეპუტატები, აქტივი, მშრომელთა კოლექტივები და თვითმოქმედი ორგანიზაციები, ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი მათ საქმიან წამოწყებასა და ინიციატივას;

დ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობაზე, მიაღწიოს მათი აღმზრდელობითი როლისა და ავტორიტეტის მკვეთრ ამაღლებას;

ე) მეტი დახმარება გაუწიოს სახალხო რაზმებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და ქუჩის კომიტეტებს, უფრო ქმედითი გახადოს მათი მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დანაშაულთა აცილებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) პრაქტიკაში დანერგოს დეპუტატების, აღმასკომებთან შექმნილი კომისიების, ამხანაგური სასამართლოებისა და მშრომელთა სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების ანგარიშები მოსახლეობის წინაშე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ზ) ქმედითი დახმარება გაუწიოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მართლწესრიგის დარღვევების აცილებას; მათ ჩაბმას სწავლებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში; გააძლიეროს დახმარება და კონტროლი სასწავლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობაზე;

თ) მეტი ყურადღება მიაქციოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში სოციალისტური საკუთრების დაცვას, გაფლანგვამტაცებლობის ხელშემწყობი პირობების გამოვლინებას; დაწესებულ ვადებში რევიზიის ჩატარებას;

ი) მოსახლეობაში რეგულარულად მოაწყოს ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები კანონიერების განმტკიცების, დანაშაულობასთან ბრძოლისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე; ამ საქმეში ფართოდ ჩააბას ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები და აქტივი.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეისწავლონ და განიხილონ საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების დაცვის მდგომარეობა და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 168 მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ ბოლნისის და ქარელის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბოლნისისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების უმრავლესობამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. დეპუტატებთან ერთად მათ საქმიანობაში ფართოდ არიან ჩაბმული მოწინავე კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები. ისინი ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურისა და ყოფაცხოვრების ცალკეულ საკითხებს და ქმედით დახმარებას უწევენ საბჭოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივმა კომისიებმა არჩევნების შემდეგ სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად მოამზადეს 120 საკითხი, ხოლო ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივმა კომისიებმა — 245.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიების უმეტესობას მჭიდრო კავშირი აქვს აღმასრულებელი კომიტეტების შესაბამის განყოფილებებთან, ერთობლივად სწავლობენ საკითხებს და ახორციელებენ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ბოლნისის რაიონული საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო მუდმივი კომისია რეგულარულად სწავლობს რაიონში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას და აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს.

ამის შედეგად ნახევარი წლის ბიუჯეტი, როგორც გასავლის, ისე შემოსავლის ნაწილში, და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

ამავე რაისაბჭოს სახალხო განათლების მუდმივმა კომისიამ სესიაზე განსახილველად მოამზადა საკითხი „1968—1969 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“. ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა.

ქარელის რაიონული და სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის 16 მუდმივმა კომისიამ მიმდინარე წელს სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის მოამზადა 78 საკითხი. კომისიების აქტიურმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

კარგად მუშაობენ ქარელის სადაბო, კეხიჯვრის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები, ბრეძის სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო მუდმივი კომისია, ბოლნისის რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობისა და კაზრეთის სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლნისისა და ქარელის რაიონებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში. ზოგიერთი მუდმივი კომისია არარეგულარულად ატარებს სხდომებს, არ აქვს შედგენილი სამუშაო გეგმა და იშვიათად ამზადებს საკითხებს სესიის ან აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

ბოლნისის საქალაქო, ფარახლოს და ბოლნისის სასოფლო საბჭოების მუდმივ კომისიებს არჩევნების დღიდან არცერთი სხდომა არ ჩაუტარებიათ.

არის შემთხვევები, როდესაც მუდმივი კომისიები არღვევენ დებულებას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ. მაგალითად, ბოლნისის რაიონული, საქალაქო და იმირასანის სასოფლო საბჭოების სამანდატო კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები კომისიების სხდომებზე არ აურჩევიათ.

ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობაში, სხდომებზე იხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციაში არ შედის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ღებულობს დამავალდებულებელ გადაწყვეტილებებს (რაიონული საბჭოს განათლებისა და კულტურის, მოხისის და ბრეძის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები). წარმოება-დაწესებულებები და ორგანიზაციები ცალკე არ აღრიცხავენ მუდმივი კომისიების მიერ დაყენებულ საკითხებს და არ ატყობინებენ კომისიებს, თუ რა ღონისძიებანი იქნა გატარებული მათ წინადადებათა შესასრულებლად.

ბოლნისისა და ქარელის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად არ აწყობენ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარებს, ფართოდ არ აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, არ ღებულობენ სათანადო ზომებს მუდმივი კომისიების როლის შემდგომ ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ბოლნისისა და ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს უახლოეს დროში უზრუნველყონ მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რისთვისაც:

ა) პერიოდულად ჩაატარონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები მათთვის უფლება-მოვალეობების განმარტებისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სისტემატურად გააცნონ მათ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები, აამაღლონ მათი როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას;

გ) აქტიურად ჩააბან მუდმივი კომისიები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, ცალკეულ ღონისძიებათა შემუშავება-გატარებაში, სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში და საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში; მუდმივი კომისიების მუშაობაში ფართოდ მიიზიდონ აქტივი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები;

დ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს სამუშაო გეგმების შედგენასა და საკითხების შესწავლის ორგანიზაციაში. რეაგირების გარეშე არ დატოვონ კომისიების მიერ დაყენებული საკითხები. სისტემატურად შეამოწმონ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუდმივი კომისიების წინადადებათა განხილვის მდგომარეობა და მიიღონ ზომები მათ შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ბოლნისის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1970 წლის 1 აპრილამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 169 ქალაქ ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენისა და ჯილდოების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მრავალშვილიანი დედების ჯილდოებზე წარდგენის და ჯილდოების დროულად ჩაბარების საქმეში. საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად იხილავენ მთავრობის შესაბამის ჯილდოზე ან საპატიო წოდებაზე წარდგენის საკითხებს.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს აღრიცხული ჰყავთ ის პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ან მინიჭებული აქვთ საპატიო წოდებები.

ჯილდოების გადაცემა ხდება დროულად, საზეიმო ვითარებაში. ცნობები დაჯილდოებულ პირთა შესახებ ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში და სხვა.

ამასთანავე, ქალაქ ზუგდიდში და, განსაკუთრებით ზუგდიდის რაიონში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს დედების ჯილდოზე წარდგენის საქმეში. რაიაღმასკომი მრავალშვილიან დედებს ჯილდოზე წარმოადგენს სასოფლო და სადაბო საბჭოს კანონის დარღვევით, სასოფლო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობათა გარეშე.

სასოფლო საბჭოებს არ გააჩნიათ დაჯილდოებულ და დასაჯილდოებელ დედათა კონტინგენტის ზუსტი აღრიცხვა. ზოგიერთ სასოფლო საბჭოში (კახათის, რუხისა და სხვ.) მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის გათვალისწინებულ ფულად დახმარებას აძლევენ დედებს გარდაცვლილ ან გაშვილებულ ბავშვებზე. სოფელ რუხში მცხოვრები გულიშა მაქსიმეს ასული ფიფია 1964 წლიდან იღებდა დახმარებას არ არსებულ მე-8 შვილზე და უკანონოდ მიიღო 525 მანეთი, იგი ასევე არასწორად იქნა დაჯილდოებული 1966 წლის 26 იანვარს „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქალაქში, ასევე რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა მრავალშვილიან დედათა და სხვა დაჯილდოებულ პირთა პოპულარიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) სისტემატურად შეამოწმონ მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნისა და მთავრობის შესაბამის ჯილდოზე მათი წარდგენის სისწორე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად;

ბ) მრავალშვილიანი დედების, აგრეთვე მოწინავე მუშა-მოსამსახურეების, კოლმეურნეების და სპეციალისტების შესაბამის ჯილდოზე და საპატიო წოდებაზე წარდგენისას მტკიცედ იხელმძღვანელონ დებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ;

გ) ჯილდოების გადაცემა, როგორც წესი, აწარმოონ დროულად და საზეიმო ვითარებაში, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

მეტი ყურადღება მიაქციონ მთავრობის ჯილდოებით დაჯილდოებულ პირთა პოპულარიზაციას, მოაწყონ მათი პორტრეტების გამოფენა ხალხის თავშესაყარ ადგილებში, მუზეუმებში, კლუბებში. ამასთან ამ საქმეში უფრო ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესა.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განუხრელად დაიცვან მრავალშვილიანი დედების მთავრობის ჯილდოზე წარდგენის წესი სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონის შესაბამისად. გააძლიერონ კონტროლი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების აღრიცხვის საქმეში, აღმოფხვრან ფულადი დახმარების და ჯილდოზე არასწორად წარდგენის შემთხვევები.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების არასწორად დანიშვნისა და გაცემის ფაქტები განიხილა ზუგდიდის რაიაღმასკომმა და დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ.

4. დაევალოს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს გააძლიერონ კონტროლი მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების სწორად და დროულად დანიშვნა-გაცემის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 170 ამხ. ს. დ. მარკინის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილის რიგითი ჯარისკაცი სერგი დიმიტრის ძე **მარკინი** დაჯილდოვდეს მედლით „**საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის**“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 171 ამხ. ვ. ს. კონსოვიჩის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილის მძღოლი ვასილ სტეფანეს ძე **კონსოვიჩი** დაჯილდოვდეს მედლით „**ხანძარზე მამაცობისათვის**“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 172 კინემატოგრაფიის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:**

1. ოთარ ევგენის ძე **გეგეჭკორს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხმის ოპერატორს.

მუზ. 1/2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. კონსტანტინე იასონის ძე **გრძელიშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს.

3. იოსებ ესტატეს ძე **თარხნიშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს.

4. დავით კონსტანტინეს ძე **ლომიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორს.

5. ევგენი სერგოს ძე **მაჭავარიანს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

6. თეიმურაზ ირაკლის ძე **მეგრელიშვილს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორს.

7. თეიმურაზ ათანასეს ძე **მიქაძეს** — თბილისის კინოსახლის დირექტორს.

8. არჩილ ფილიპეს ძე **ფილიპოვს (ფილიპაშვილი)** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

1. გივი მაქსიმეს ძე **თოხაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

2. ზურაბ ვასილის ძე **ქაფიანიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:

1. გივი ლევანის ძე **გიგაურს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

2. შოთა მინას ძე **გოგოლაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

3. როსტისლავ სერგოს ძე **ვაშაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

4. ტატიანა ნიკოლოზის ასულ **კრიმკოვსკაიას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

5. სევერიან ტრიფონის ძე **სულავას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

6. კახი იოსების ძე **ხუციშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

1. ვლადიმერ მელიტონის ძე **ისაკაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საარქიტექტორო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

2. ანტონ ხაჩატურის ძე **მინასიანს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ ენერგეტიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის**

1. მიხეილ იზრაელის ძე **ათანელოვს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" საამქროს უფროსს.

2. ვარლამ ალექსანდრეს ძე **ალავიძეს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს.

3. ივანე ელისეს ძე **ანთელიძეს** — მახარაძის რაიონის კინოქსელის დირექტორს.

4. აშოტ აკოფის ძე **არუთინოვს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" განყოფილების უფროსს.

5. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **აჯიბეგაშვილს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორს.

6. საულ მოსეს ძე **ბაბაევს** — ქ. თბილისის კინოშემკეთებელი სახელოსნოს მემონტაჟეს.

7. ვილი სპირიდონის ძე **ბაიბუხაშვილს** — ქ. თბილისის პიონერთა სასახლის კინომექანიკოსს.

8. იროდი მიხეილის ძე **ბერულავას** — ზუგდიდის საქალაქო კინოქსელის ადმინისტრატორს.

9. რუბენ ბოგდანის ძე **გალუსტოვს** — ქ. თბილისის კინოთეატრ „რუსთაველის" ტექნიკურ ხელმძღვანელს.

10. ელისაბედ ედუარდის ასულ **გეგეჭკორს** — ქ. თბილისის კინოთეატრ „კოლხიდას" დირექტორს.

11. აკაკი ვასილის ძე **გელაშვილს** — კინოგაქირავების თბილისის განყოფილების დირექტორს.

12. სერგო ილიას ძე **გვარამაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

13. ვლადიმერ ფილიპეს ძე **გოგუას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" კომბინირებულ გადაღებათა მხატვარს.

14. აპოლონ პარმენის ძე **დარსაველიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" მულტიპლიკაციური გაერთიანების უფროსს.

15. ლარისა ალექსანდრეს ასულ **დილმელოვას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" მემონტაჟეს.

16. მერი პროკოფის ასულ **ერისთავს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტს.

17. ვაგზენ არაქელის ძე **ვართანოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კინომექანიკოსს.

18. პლატონ ივანეს ძე **თავართქილაძეს** — პენსიონერს.

19. ვასილ ტიმოთეს ძე **თანიაშვილს** — პენსიონერს.

20. ვარლამ პეტრეს ძე **მარგიანს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის კინოსურათის დირექტორს.

21. გიორგი ნესტორის ძე **მგელაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" კომბინირებულ გადაღებათა მხატვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. აბრამ მიხეილის ძე **მოშიაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტს.

23. დიმიტრი ივანეს ძე **მძინარიშვილს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის კინოსურათის დირექტორს.

24. მელიტონ გიორგის ძე **ნარიმანიშვილს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორს.

25. ნიკოლოზ ევსევის ძე **ნიკოლაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" განყოფილების უფროსს.

26. შოთა არტემის ძე **ნოზაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" საამქროს უფროსს.

27. ქუჟუნა ივანეს ასულ **პეტრიაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რედაქტორს.

28. არტაშეს არშაკის ძე **პოლოხოვს** — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორს.

29. ეთერ გიორგის ასულ **ჟორდანიას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტს.

30. რემი ალექსის ძე **სიხარულიას** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს.

31. მიხეილ მიხეილის ძე **ქობულიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოსარემონტო სახელოსნოს დირექტორს.

32. შოთა ნიკოლოზის ძე **ტატიშვილს** — ქ. თბილისის კინოთეატრ „ამირანის" დირექტორს.

33. ივანე ანდროს ძე **შოთაშვილს** — ქ. თბილისის კინოთეატრ „ყაზბეგის" დირექტორს.

34. ვახტანგ სილიბისტროს ძე **ბელიძეს** — აფხაზეთის ასსრ კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს.

35. ზაქარია იასონის ძე **ხარშილაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორს.

36. ლუკა ერმილეს ძე **ხუნდაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" საამქროს უფროსს.

37. შალვა თეოფილეს ძე **ხუსკივაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 173 ამხ. ვ. ა. დურგარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვართ არუთინის ძე დურგარიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 174 ამხ. თ. ე. კერეჭაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თანამშრომელი ამხ. თამარ ესტატეს ასული კერეჭაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 175 ამხ. ლ. ს. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ლუარსაბ სერგის ძე ქავთარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 176 ამხ. ფ. ა. მასალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. თევდორე ანტონის ძე **მასალოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 177 ამხ. ბ. გ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბორის გაბრიელის ძე **კაციტაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 178 ამხ. ა. ი. ქუჩუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. აპოლონ ილიას ძე **ქუჩუკაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიაში.

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის და ქიმიის საგნების სწავლების მდგომარეობის საკითხი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის და ქიმიის საგნების სწავლება სათანადო სიმაღლეზე დგას. სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია სპეციალისტებით. მოსწავლეთა უმრავლესობა სათანადო ცოდნას ამჟღავნებს ამ საგნების დაუფლების საქმეში.

ამასთან ერთად მუდმივმა კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის და ქიმიის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მთელ რიგ სკოლებში მათემატიკისა და ქიმიის მასწავლებლებად მუშაობენ პირები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება. სწავლებაზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე ზოგიერთი საკლასო ოთახის არანორმალური განათება, სათანადო ავეჯის უქონლობა, ფართობის სიმცირე და გაკვეთილებზე თვალსაჩინოების გამოუყენებლობა. სოფლის ბევრ სკოლას არ გააჩნია საგნობრივი კაბინეტი. ქართულ ენაზე საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება მათემატიკის მეთოდური და პოპულარული ლიტერატურა. ამასთან, მცირე რაოდენობითაა ამ საგნის სახელმძღვანელოებიც.

ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს უჭირთ ქიმიური ამოცანების ამოხსნა, უმეტეს შემთხვევაში უძნელდებათ სტრუქტურული ფორმულების დაწერა, ქიმიური განტოლებების შედგენა და სხვ.

განათლების ორგანოები ჯერ კიდევ სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ სკოლებს მათემატიკის და ქიმიის საგნების სწავლების საქმეში, სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი სისტემატურ მზრუნველობას ვერ იჩენს სკოლების ნივთიერი და სასწავლო ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი.

განხილული საკითხების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ი. ხომერიკმა, ვ. მამათელაშვილმა, ა. ბრციანმა, ზ. შამილოვმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაძემ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტებმა დ. გვარამაძემ, ვ. ხუროშვილმა და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 539 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 6 |
| ქ. ზუგდიდიდან | | 15 |
| ქ. რუსთავიდან | | 4 |
| ქ. ტყიბულიდან | | 3 |
| ქ. ფოთიდან | | 7 |
| ქ. ქუთაისიდან | | 7 |
| ქ. ჭიათურიდან | | 27 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | 35 |
| ბოგდანოვკის | „ | 25 |
| ბოლნისის | „ | 70 |
| გორის | „ | 13 |
| გურჯაანის | „ | 1 |
| ზუგდიდის | „ | 19 |
| თეთრიწყაროს | „ | 21 |
| თელავის | „ | 7 |
| თიანეთის | „ | 11 |
| კასპის | „ | 19 |
| ლაგოდეხის | „ | 11 |
| ლანჩხუთის | „ | 2 |
| მარნეულის | „ | 57 |
| მცხეთის | „ | 12 |
| საგარეჯოს | „ | 18 |
| ჩოხატაურის | „ | 4 |
| წალკის | „ | 105 |
| წალენჯიხის | „ | 15 |
| ხაშურის | „ | 6 |
| ხობის | „ | 11 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 8 |